

სს ენერგო-პრო ჯორჯია
O.N. 2364126
27.01.2023
JSC ENERGO-PRO GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს
მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 150.

ქალბატონო თამარ,

თქვენი, 2022 წლის 20 დეკემბრის N21/7969 წერილის მოთხოვნის თანახმად, კიდევ ერთხელ წარმოგიდგინებ ჩოლოურის 35 კვ ეგხ-ს რეკონსტრუქციის პროექტისათვის განცხადებას, აღნიშნულ წერილში მოყვანილი შენიშვნის გათვალისწინებით და ანგარიშთან ერთად გიგზავნით „ჩოლოურის 35 კვ ეგხ-ს რეკონსტრუქციისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ანგარიშს“ შენიშვნის გათვალისწინებით.

დამატებით გაცნობებთ რომ, „ჩოლოურის“ ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქცია წარმოადგენს ლენტეხის ელექტრომომარაგების გაუმჯობესებისა და საიმედოობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ პროექტს, რადგან არსებული მდგომარეობით ელექტრომომარაგება ხდება ერთადერთი 35 კვ ძაბვის ეგხ „მურიო“ და სხვა სარეზერვო კვების წყარო არ არსებობს.

პროექტით იგეგმება არსებული ეგხ-ს 52 საყრდენის გამოყენება და 17 ახალი უნიფიცირებული და სპეციალური კონსტრუქციის საყრდენის მონტაჟი ძველის მაგივრად იგივე ადგილზე.

ელექტროგადამცემი ხაზი იწყება 35/10 კვ ძაბვის ქვესადგური „ლენტეხიდან“, ხავეტომობილო გზის გასწვრივ მიუყვება მდინარე ცხენისწყლის ხეობას და შედის ქვესადგურ „ჩოლოურში“.

35 კვ ძაბვის „ჩოლოურის“ ელექტროგადამცემ ხაზს მოიცავს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ფუნქციონირებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-830; 17/09/2020).

საქართველოს კანონი – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად – გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგინებ 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლოურის“ რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

დანართები:

გარემოს ეროვნული სააგენტო
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
27.01.2023
№ 549

- 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის“ რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშის ბეჭდური ვერსია;
- 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის“ რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
- 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის“ კოორდინატები (Shp ფაილები და GPS კოორდინატები);
- „ჩოლოურის 35 კვ ეგს-ს რეკონსტრუქციისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ანგარიშის“ ელექტრონული ვერსია. სადაც გათვალისწინებულია 2022 წლის 20 დეკემბრის N 21/7967 წერილის შემთხვევა;
- სს „ენერჯო პრო ჯორჯიას“ პასუხები სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 10 ოქტომბრის N 21/5997 წერილში მოცემულ შენიშვნებზე თან ერთვის სკრინინგის ელექტრონულ ვერსიას (გიგზავნით განმეორებით).

პატივისცემით,

გრიგოლ შამისეიშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე



შემსრულებელი: ლევან იოსელიანი /ტელ: 577 35 13 97